

გაზეთი ბეჭდის, „ვერსი“ ერთი

ლიტო ბელოვანი

ვერსი

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი


№2 (1028) 12 - 13 იანვარი, 2015 წელი

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ის, რას ნდობდა წინა კვირაში

ჯანსუღ ჩაკვიანი: „მართლა ვერ გავიგე, ვისი ვიოლინო ვის რიიალუია!“

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ
პოეტთან, რომელმაც
ინაურებსა და
შინაურებს გაუძღო



გვ. 4-5

„ერაკლე კოლუაშვილი და... ერთი ბინიდან რატომ დოკუმენტაციის გამოგანა მთხოვა...“

ექსპერტები ახალი მთავრობის შექმნას ელიან



გვ. 7



გვ. 6

კატეგორიის დღიური

უკრაინაში მოღვაწე ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი „მედველონი“ ნაციონალურ ურთიერთობის დეცადებს იხსენებს

2014 წლის მთავარი ეკონომიკური შეცდომა და 2015 წლის პროგნოზი

პარიზის ტერაქტი „მშვიდობის მარშით“, მსოფლიო ლიდერებთან ერთად, საქართველოს პრემიერმა გააპროტესტა

„ჩვენ ვართ მუსლიმები! ყურანი არის ჩვენი წიგნი! ჩვენ გვჯერა ღმერთის!
ჩვენ ვმუშაობთ ღმერთისთვის! ჯოჯობეთამდე გზა გქონია, შარდი ებღო!
ისდამი არის და ყოველთვის იქნება დომინანტი!!! ისდამი არის სიმართლე!!!
ამიგომაც არის ისდამი ყველაზე სწრაფად მზარდი რელიგია!!!“

გვ. 3



დიტო ბალოვანი

„თუნდაც მტრები ვიყოთ, მოდი, ცივილიზებულად მოვიქცეთ, ნუ მოვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვსხედვართ“ — შეიძლება, ამ თავისი არსით მარტივი ფრაზით არის კიდევ გამოხატული ცივილიზაციის კულტურულ-სამართლებრივი, ზესიტუაციური ქცევის არსი, ვინაიდან, სიტუაციის შიგნით ყოფნისას შეუძლებელია იმაზე მარადიული შეთანხმება, რომ ერთმანეთს ზიანი არ მივაყენოთ, ვინაიდან ვილაციისთვის ყოველთვის იქნება „ცხადი“, რომ მან უნდა აღადგინოს დარღვეული სამართლიანობა. ამ აშკარა სწრაფვის გარეშე ისტორიაში არ განხორციელებულა ბოროტება, ვინაიდან ყოველგვარი ბოროტება საუკეთესო მიზნებით ხორციელდება და ეს ფრაზა სულაც არ გახლავთ ირონიული. ბოროტების ენერჯია ჭეშმარიტების ენერჯიით, ჭეშმარიტების ხილვის სინამდვილით საზრდოობს, ცივილიზაცია კი ახშობს მას და იმდენად აფერხებს მას, რამდენადაც ჩვენ, ადამიანებს შეგვწევს საამისო ძალა“.

(მერაბ მამარდაშვილი, „ცივილიზაციის ფორმალური სტრუქტურა“)

ამ სიტყვებს — „ვილაციისთვის ყოველთვის იქნება „ცხადი“, რომ მან უნდა აღადგინოს დარღვეული სამართლიანობა“, — ხშირად სწორედ ისე აღიქვამენ, როგორც აწყობთ. ვილაციისთვის სამართლიანობის აღდგენა, სამართლიანობისთვის ბრძოლა, მხოლოდ სხვისი დაცინვაა, არა კრიტიკა, არამედ დაცინვა. კრიტიკა შესაძლოა იყოს ირონიული, მაგრამ კრიტიკა იმის კრიტიკაა, რომ არგუმენტებით არის გამყარებული, მაგრამ ისეც ხდება, რომ დაცინვის ობიექტი თავს ვალდებულად თვლის, „სამართლიანობის აღსადგენად“ მონინალმდევს ავტომატი დააღეროს. და ამის შემდეგ იწყება მთავარი: თუ ერთს დაცინვ, მეორის თანამოაზრე ხდება, თუ მეორეს გამოუცხადებ თანაგრძობას, პირველის მხარდამჭერები ყველა სასიკვდილო ცოდვაში დაგდებენ ბრალს.

და, კიდევ უფრო მთავარი — თუ შენთვის ორივე მიუღებელია, მიუღებელი ხარ ორივესთვის. არავინ დაინტერესდება — „რატომ?“ მიუღებელი ხარ და მორჩა!!! უნდა იყო ან მემარცხენე ან მემარჯვენე, ან ქოცი ან ნაცი. ყველაფერი წრეზე ტრიალებს და დასავლელ ულტრალიბერალებსა და აღმოსავლელ ფუნდამენტალისტებს ერთმანეთისგან მხოლოდ ნაბიჯი აშორებთ — ერთნი სიცოცხლეზე ძალადობენ, მეორენი — აზროვნებაზე.

არადა, მთელი პრობლემა, ჩემი აზრით, გულწრფელობაშია და გასულ კვირაში საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საკითხავი ის არის, რამდენად გულწრფელად სწამდათ იმ ჟურნალის მფლობელებს და თანამშრომლებს, რომ თავიანთი საქმიანობით სიტყვის თავისუფლებას, დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს ემსახურებოდნენ და რამდენად სწამდათ ტერორისტებს იმის, რომ რედაქციაში მონყობილი ხოცვა-ჟლეტი ისლამს დაიცავდნენ.

საკმარისი აღმოჩნდა კრიტიკული სიტყვა (ვფიქრობ — არგუმენტირებული) დამცდენოდა „შარლი ებდომი“ გამოქვეყნებული კარიკატურების შესახებ, რომ მამინვე ფაშისტი და ტერორისტი გავხდი და არც გამოკვირდებოდა, ჩემი სახლთან აქცია რომ მოეწყობა, „მე შარლი ვარ“ და იმ აქციის მონაწილეებსაც ჩამოგითვლით: ვითომ ლიბერალები, ვითომ დემოკრატები, ვითომ ინტელექტუალები, ვითომ მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, მუსიკოსები, ვითომ სამოქალაქო საზოგადოება, ვითომ „არასამთავრობოები“, ანუ — უსაქმურები, უნიჭოები, უნიგნურები, უციცლები... ისინი, „წულოვან ტოლერანტობას“ რომ ეთაყვანებოდნენ, „ყველანი ციხეში“ — რომ მოითხოვდნენ, ფულს რომ ათეთრებდნენ, თოვლს რომ აწითლებდნენ და არ წითლდებოდნენ, ყველაფერს რომ ყიდდნენ სინდისის გარდა, ხოლო სინდისს ვერ ყიდდნენ, რადგან სინდისი ან გაქვს, ან არა და ისაც არ აქვს, ვერც გაყიდის, ხოლო ვისაც აქვს, მისთვის შეუფასებელია.

პირველები, ვინც „მე ვარ შარლი“ დაიძახა, სწორედ ისინი იყვნენ, ფეისბუქ-ლაიქების გამო ადამიანებს სამსახურიდან რომ ხსნიდნენ, იჭერდნენ, ჟურნალისტების დაპატიმრებას ამართლებდნენ, მედიასაშუალებების დახურვას და წართმევას მიესალმებოდნენ, ან დუმდნენ, ანუ დუმილით ესალმებოდნენ.

რომ იდგნენ სანთლებით — „მე შარლი ვარ...“ 7 ნოემბრის შემდეგ ერთმა მაინც თუ თქვა „მე ვარ დინა ტრაპაიძე“ ან მეორემ, ფოტოგრაფების საქმის დროს — „მე ვარ ზურა ქურციკიძე“?

მაშინ არაფერი უთქვამთ, დუმდნენ, დუმილი კი ხშირად უფრო მეტყველია, ვიდრე ყველაზე გრძელი ტირილი და იმ დუმილს მაშინ „მე ვარ გურამ დონაძე“ ერქვა და ისინი დღესაც „გურამ დონაძე“ არიან. მათ, უბრალოდ, ნიშნა დაიკავეს — მხოლოდ ისინი უცხადებენ სოლიდარობას უკრაინელ ხალხს, მხოლოდ ისინი დგანან ადამიანის უფლებების სადარაჯოზე, მხოლოდ მათ ესმით სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობა

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი



და მხოლოდ ისინი დასტორიან საფრანგეთში მონყობილი სასაკლავო მსხვერპლთ.

იმდენი თქვენს დედებს... დავასრულო დანყებული ფრაზა? სჯობს, დავხატო, რადგან მარც ტვივის სიტყვები მახსენდება: „მე რომ დავწერო — „ქალი იყო მიშველი“ — და მერე დეტალურად აღვწერო ყველაფერი, კრიტიკოსები დამმარხავენ. როცა იგივეს მხატვარი აკეთებს, კრიტიკოსები ჭკუაზე არ არიან სიხარულით“.

გავგრძეცი ეგეთ კრიტიკოსებს. უბრალოდ, არც ფრაზას დავასრულებ და არც დავხატავ. მე მაქვს გამოხატვის თავისუფლება და იმდენად თავისუფალი ვარ, რომ საკუთარ თავს, როცა მინდა, სადაც მინდა და როგორც მინდა, თვითონვე ფუნესებ და ვუხსნი შეზღუდვებს.

მე ეგ მიმაჩნია თავისუფლებად, მაგრამ ვილაციისთვის, იქნებ, გამოხატვის თავისუფლება ისაა, მარჯალი ჩაიხადოს ან კაბა აიხოს, შუა ქუჩაში მოისაქმოს, ამას „პერფორმანსი“ დაარქვას, გამვლელის შენიშვნა აგრესიულად გააპროტესტოს, აგრესიაზე აგრესია მიიღოს და მერე შეკრიბოს თავისნაირები და ყველამ დაიკავოს ფურცელი წარწერით „მეც ქუჩაში ვვ...ავ“.

და თუ გეი-პარადი გამოხატვის თავისუფლებაა, შეიკრიბეთ და მთელ რუსთაველზე თქვენც ჩამოიარეთ, ნეკროფილებო, ზოოფილებო, გერონტოფილებო... მთელი ხმით იყვირეთ, რა საამურია დობრმანების, ლაბრადორების და გერმანული ნაგავების ჟიშვა, რა ტკბილია ასი წლის დედაბრებთან კოტრიალი და გაბედოს ვინმე პროტესტის გამოთქმა, მიცვივდით და მთელი ხმით დაიძახეთ: „მეც ვფიშვ ვურმას, ლურჯას და შვლის ნუკრის ნაამბობს“.

აგრესია წარმოშობს აგრესიას, უბედურება — უბედურებას, ზოგი ფუნჯით არის აგრესიული, ზოგი სიტყვით და ზოგიც „კალაშნიკოვით“, რადგან ვერ წერს, ვერ ხატავს და ამიტომ მისი გამოხატვის თავისუფლება ტყვიების ზუზუნთან არის კავშირში.

მაგრამ, ასეთ დროს ვილაც ყოველთვის იგებს, ვილაც წყალს ამღვრებს, რომ თევზი დაიჭიროს, ვილაც კი სხვის მიერ ამღვრულ წყალში აფათურებს ხელს. ჟურნალის ტირაჟი 30 ათასი იყო, ეს იგივეა, საქართველოში 100 ეგზემპლარს რომ ყიდდე. 14 იანვრის შემდეგ „შარლი“ მილიონიანი ტირაჟით დაიბეჭდება, ათასი ჯურის ქვეშაფსია გააპროტესტებს ძალადობას, იმ გარანტიით, რომ „იკვილებს სხვაც“, მაგრამ მარტო „არ იკვილებს“. უმაღლესი ძალადობა დაუჭერს მხარს. მომავალ კვირაში პარიზი დიდი საპროტესტო მსვლელობის ჩატარებას აპირებენ. სამსუხარო მოსალოდნელობა — პოროშენკოსთან და, იქნებ, ზურაბ ადვიშვილთან ერთად, აქციაში ლავროვიც მიიღებს მონაწილეობას, რადგან „რუსეთი და ევროპა

შემოსავლის წყაროა, ხოლო საყოველთაო შემწყნარებლობა, ტოლერანტობა, სიყვარული და ღირსეული თავისუფლება — შიმშილით სიკვდილის ტოლფასი.

გასულ კვირაში შობა ვიდღესასწაულეთ... პატრიარქის ყოველ ეპისტოლეში ყოველთვის ზუსტად არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ ვართ, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ. ბოლო ეპისტოლედან: „სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება — ჩვეულებად, გულგრილობა — წესად, უზნეობა და თავაშვებულობა — მისაბაძად; ცილისწამება და ძალადობა — ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება“.

არ ეთანხმებით? „ნათლიადან“ მახსენდება: როდესაც კარდინალი, მომავალი პაპი, შადრევნიდან კენჭს ამოიღებს, დაამტკრებს და კორლეონეს ეუბ-

ერთად ებრძვიან ტერორიზმს“.

დახეთ — ტერორისტი და ტერორის მსხვერპლი ერთად დგანან და ვინ არის ბოლო-ბოლო ტერორის მსხვერპლი? ევროპა? არა მგონია... ტერორის მსხვერპლი ყოველთვის კონკრეტული ადამიანი, ადამიანები არიან. დანარჩენები, ჩერგოლეოვილები და შეეჩერკოები, ხელს ითბობენ, ვილაცები სეირს უყურებენ, ვილაცები კი სხვისი გლოვით ტკბებიან.

სიუჟეტი ვნახე, გლოვის ნიშნად ეიფელის კოშკი რამდენიმე წუთით გამოირთო. ტერორისტიც და ადვოკატებიც იყვნენ — ასეთ რამეს ყოველდღე ვერ ნახავ, გაგვიმართლა, საკუთარი თვალთ რომ ვნახეთო. როგორ კიდიათ ისლამისტი ტერორისტების ხელით დახოცილი ადამიანები და სიყვარულისა და სიკეთის მქადაგებელი მიმდევრები ისლამისა... აი, ნიუსი: „დღეს, ადგილობრივი დროით 20:00 საათზე პარიზში სატერორული ჟურნალის რედაქციაზე თავდასხმის გამო დალუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ეიფელის კოშკზე გარეგანათება გამოირთო, რომელიც 5 წუთის შემდეგ კვლავ ჩაირთო, როგორც სიმბოლო იმისა, რომ სიცოცხლე გრძელდება“.

ამ ინიციატივით დღეს პარიზის მერი ენი იდალეც გამოვიდა, რომლის მონოდეპიბითაც დღეს რესპუბლიკის მოედანზე პარიზელების მიტინგი მიმდინარეობს. ასობით და ათასობით ადამიანმა მოიტანა სანთლები, ყვავილები, კალმები და ფურცლები დალუპული ადამიანების პატივსაცემად და სკანდირებდნენ „შარლი!“, „ჩვე ყველა შარლი ვართ“.

მხოლოდ ხუთი წუთით, მხოლოდ!!! სიცოცხლე გრძელდება... ტერორიზმიც გრძელდება, ფაშისტიც, ბოლშევიზმიც, ნაციზმიც, ძალადობაც, მკვლევანობაც, ქურდობაც, ტრეფიკინგიც და, რა თქმა უნდა, გრძელდება „გრანტიზმი“, რომლისთვისაც ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების და, უბრალოდ, თავისუფლების დარღვევის თითოეული ფაქტი

ნება: „ეს კენჭი მრავალი წელი წყალში იდო, მაგრამ მასში წყალმა ვერ შეაღწია. ასე ვართ ჩვენც — ასეულობით წელია ქრისტიანობაში ვართ, მაგრამ ქრისტემ ვერ შემოაღწია ჩვენში“.

დღეს ფარისევლობამ წაღეკა ეს ქვეყანა. შობას სამეზამის ხაღურს მოვკარი თვალთ. სხვებიც იქნებოდნენ — პოლიტიკოსები, საჯარო პირები. სამოზაო წირვაზე დასწრება მათი სამსახურებრივი მოვალეობაა — პროფესიონ დეფუა.

მაგრამ იქ უამრავი რიგითი ვითომ მორწმუნე იქნებოდა, ისეთი, როგორც კი საშუალება მიეცემა, ყველანაირ უკადრებელს რომ იკადრებენ.

აბა, ტაძრიდან რომ გამოხვალ და იტყვი — „ბოზიშვილი ვიყო, მაგარი იქადაგა“, — ვინ ხარ შენ? ვინ ხარ და, ის ხარ, ხაღურის ადგილას, ერთს კი არა, კონტრაბანდისტებისთვის წართმეულ ყველა აიფონს და მიქსერს საკუთარ ოჯახში რომ მიიტანდი და დაიძინებდი მშვიდად, რადგან შენი კონსტიტუციური უფლებაა, გეძინოს მშვიდად მაშინ, როცა ამდენი უბედურება ტრიალებს. ეს შენი კონსტიტუციური უფლებაა. თავისუფლება კი ის არის, როცა საკუთარ თავს ამის უფლებას არ აძლევ და ადამიანის მიერ დაწერილ, ათათასჯერ გადაკეთებულ-გადმოკეთებულ, მიჭრილ-მოჭრილ, ვილაცების მიერ საკუთარ თარგზე მორგებულ კონსტიტუციაზე მაღლა ადამიანობას აყენებ.

ა.დ. (ადამიანებად დავრჩით) როდესაც მიღმური სრულყოფილების სახელით გამოირიცხება ყველა ადამიანი ფორმალური მექანიზმი სწორედ იმ საფუძველზე, რომ ისინი ფორმალურია და მაშასადამე, აბსტრაქტულია უშუალოდ ადამიანურ სინამდვილესთან შედარებით და იოლად გასაკრიტიკებელია, მაშინ ადამიანები თვითონვე ამბობენ უარს ადამიანად ყოფნის შესაძლებლობაზე, ანუ იმაზე, რომ ურდევნი, არა მხოლოდ ნიშნური ცნობიერება ჰქონდეთ.

(მერაბ მამარდაშვილი, „ცივილიზაციის ფორმალური სტრუქტურა“)

პარიზის ტერაქტი „მშვიდობის პარკით“, მსოფლიო ლიდრებთან ერთად, საქართველოს პრემიერმა გააპრობეს

რაცომ არ ჩავიდა ობამა პარიზში და ვის ადანაშაულებს ბერდუსკონი

ბოლო დღეებია, მსოფლიო პარიზის ტერაქტით „ცხოვრობს“ — ყველანი, მათ შორის, ისინიც კი, ვინც მომხდარში ყურნალისტებს ადანაშაულებენ, თანხმდებიან, რომ კაცთაველას გამართლება არ აქვს! ასევე, ცალსახაა, რომ პარიზის მოვლენები მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტურას მნიშვნელოვნად შეცვლის, რასაც სხვა თუ არაფერი, კვირას, 11 იანვარს პარიზში გამართული ე.წ. მშვიდობის მარშის მოწმობს. ისე, საგულსხმა, რომ „მშვიდობის მარშს“, რომელშიც 40-ზე მეტი ქვეყნის პირველი პირი, მათ შორის, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერი და ევროპარლამენტის პრეზიდენტი მარტინ შულცი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინი და საქართველოს პრემიერიც მონაწილეობდა, აშშ-ს პრეზიდენტი არ დაესწრო — პარიზში, ბარაკ ობამას ნაცვლად, იუსტიციის მინისტრი ერიკ ჰოლდე ჩავიდა.



ალსანიშნავია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს საგანგებო წერილი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია II-მაც გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გამოვთქვამთ დიდ მწუხარებას პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების გამო, ვგმობთ მომხდარს და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებსა და მთელ ფრანგ ხალხს. ეს არ არის ერთი ქვეყნის ტრაგედია, ამაზე დაფიქრება მართებს ყველას; მითუმეტეს, რომ ბოლო წლების მანძილზე ტერორისტული ქმედებები მსოფლიოში გახშირდა და სხვადასხვა ფორმით ვლინდება... მიგვაჩნია, რომ წამყვანმა დემოკრატიულმა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად, რათა საზოგადოება იყოს უფრო დაცული.“

შეკითხვით ღმერთს, მოგვმადლოს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“

„პარიზის მკვლელობები, წლების განმავლობაში, ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების შედეგია“, — ეს განცხადება კი, იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ გააკეთა. მისივე თქმით, „ერთი სანტიმეტრითაც უკან არ უნდა დავიხიოთ ჩვენი ცივილიზაციის დაცვაში. მილიტარისტული ისლამიზმი დასავლეთის მთავარი საფრთხეა. ჩვენ ვდგავართ ევროპული საგარეო პოლიტიკის წინაშე, რომელიც არასწორი აღმოჩნდა: არაბული გაზაფხულით მოვხდინეთ ჩრდილოეთ აფრიკის დესტაბილიზაცია, კადაფის რეჟიმის დამხობამ მოგვიტანა ხალიფატი და იგივე ეხება ერაყიდან ჯარების გამოყვანას. ახლა იგივე შეცდომა ავლანეთში არ უნდა დავუშვათ ჯარების გამოყვანით“.

პარიზის ტერაქტს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც გმობს, თუმცა პარიზში ერთიანობის მხარდასაჭერ მარშს პუტინის ნაცვლად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი დაესწრო... „ალ ქაიდა“ კი, საფრანგეთის ახალი ტერაქტებით ემუქრება. ამასთან, დასავლეთის მედია იუნყება, რომ ტერორისტ ამედი კულიბალის ოჯახი ექსტრემიზმს ემიჯნება და დალუპულთა ახლობლებს სამძიმარს უცხადებს. როგორც მოკლული თავდამსხმელის დედასა და დის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ექსტრემისტულ იდეებს არ იზიარებენ და იმედოვნებენ, რომ ამ „საშინელ ქმედებებს“ ისლამთან არავინ გააიგივებს. შეგახსენებთ: ამედი კულიბალი საფრანგეთის პოლიციის მიერ, 9 იანვარს, მალაზიის მტურმის დროს იქნა ლიკვი-



დირებული. მანამდე, მან 4 მძევალი მოკლა. იმ დღეს, როცა პარიზში „ერთობის მარში“ იმართებოდა, ტერორიზმის აჩრდილი გერმანიაშიც გამოჩნდა — როგორ მსოფლიო მედია იტყობინება, ჰამბურგში უცნობებმა სატირული გაზეთი Hamburger Morgenpost-ის რედაქციის დაწვას ცადეს, თუმცა ხანძრის ლიკვიდაცია მალე მოხერხდა და ცეცხლმა მხოლოდ ორი ოთახი გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ გამოცემა Hamburger Morgenpost-მა Charlie Hebdo-დან წინასწარმეტყველ მუშაშემდის კარიკატურები გადაბეჭდა.

მსოფლიო მედია, ასევე, იუნყება, რომ საფრანგეთში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, აშშ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ საკუთარ მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

„უკანასკნელმა ტერორისტულმა თავდასხმებმა, ვის მიერაც უნდა იყოს განხორციელებული — ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული პირების, მხარდაჭერების თუ ცალკეული ადამიანების, აჩვენა, რომ აშშ-ს მოქალაქეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ და შესაბამისი ნაბიჯები გადადგან საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“, — ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში...

11 იანვარს, საქართველოში ფრანგული შიპერმარკეტების ქსელ „კარფურის“ საიტზე ჰაკერული თავდასხმა განხორციელდა. ჰაკერული თავდასხმის ტექსტი ასეთი იყო: „ჩვენ ვართ მუსლიმები! ყურანი არის ჩვენი წიგნი! ჩვენ გვეჯერა ღმერთის! ჩვენ ვმუშაობთ ღმერთისთვის! ჯოჯოხეთამდეც გზა გქონია, შარლი ებდო! ისლამი არის და ყოველთვის იქნება დომინანტი!!! ისლამი არის სიმართლე!!! ამიტომაც არის ისლამი ყველაზე სწრაფად მზარდი რელიგია!!!“ როგორც საქართველოს შსს-ში აცხადებენ, „კარფურის“ ვებ-გვერდის გატეხვასთან დაკავშირებით გამოძიება 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაიწყო, რაც კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერ შელწევას გულისხმობს.



შსს-ს ექვსი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვსი თანამშრომელი პოლიციელისათვის შეუფერებელი ქმედებისთვის — ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ მოხმარების ფაქტზე სამსახურიდან დაითხოვეს.

შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2014 წლის 27 დეკემბერს, კასპის რაიონის სოფელ მეტეხში მცხოვრები, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზის ობიექტების დაცვის სამმართველოს დაქვემდებარებული დანაყოფების აღმოსავლეთ საქართველოს დაცვის სამსახურის მცხეთის დაცვის განყოფილების ინსპექტორი ზ.ბ. დააკავეს. იგი საქსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ნარკოლოგიური შემოწმების განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. აღნიშნულის საფუძველზე, 2014 წლის 29 დეკემბერს, სასამართლომ ზ.ბ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად 500 ლარით დააჯარიმა.

შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2015 წლის 3 იანვარს, თბილისში მცხოვრები, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მეორე განყოფილების დაცვის ინსპექტორი ნ.რ. დააკავეს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად მას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. 2015 წლის 5 იანვარს, სასამართლომ ნ.რ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად 500 ლარით დააჯარიმა.

შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2015 წლის 3 იანვარს, თბილისში მცხოვრები, შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ზ.ჩ. დააკავეს. საქსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ნარკოლოგიური შემოწმების განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ მას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. 2015 წლის 5 იანვარს სასამართლომ ზ.ჩ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად 500 ლარით დააჯარიმა.

შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2015 წლის 3 იანვარს, ზესტაფონში მცხოვრები, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზის ობიექტების დაცვის სამმართველოს დაქვემდებარებული დანაყოფების დასავლეთ საქართველოს დაცვის სამსახურის ზესტაფონის დაცვის განყოფილების ინსპექტორი ვ.ჭ. დააკავეს. იგი საქსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ნარკოლოგიური შემოწმების განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. 2015 წლის 5 იანვარს სასამართლომ ვ.ჭ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად 500 ლარით დააჯარიმა.


შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2015 წლის 4 იანვარს, ზუგდიდში მცხოვრები, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მეორე სამმართველოს სწრაფი რეაგირების მოიერიშე მეორე ასეულის მეორე ოცეულის მებრძოლი გ.ლ. დააკავეს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად მას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. 2015 წლის 5 იანვარს სასამართლომ გ.ლ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად 500 ლარით დააჯარიმა.

შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2015 წლის 4 იანვარს, ზუგდიდში მცხოვრები, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მეორე სამმართველოს სწრაფი რეაგირების მოიერიშე მეორე ასეულის მეორე ოცეულის მებრძოლი გ.გ. დააკავეს. ის საქსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ნარკოლოგიური შემოწმების განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. 2015 წლის 6 იანვარს სასამართლომ გ.გ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად 500 ლარით დააჯარიმა.

„ვერსიანიუსი“

ჯანსუღ ჩარკვიანი: „მართლა ვერ გავიგე, ვისი პიოლინო ვის როიალშია!“

პოეტი, რომელმაც ინაურებსა და შინაურებს გაუძლო



მანო პავლიაშვილი

ილბლიანი ვარ — მხოლოდ კი არ ვიცნობ, არამედ, ვმეგობრობ და ზუსტად ვიცი, მისნაირი ადამიანი თითო-ორი... დიხა, ასეა: რა, განა, ყველას შეუძლია თქვას, გავაზაფხულებთ, შეურაცხყოფილი თოვლი, ანდა, თავისუფლება ლომთა ხვედრიო?! თვითონაც ლომია, ლომი, რომელსაც უკან არასოდეს დაუხვევია!.. სუბიექტური გგონივართ? — კეთილი, მაგრამ თქვენც სუბიექტურები გამოდხარო, რადგან ამ ქვეყანაში ჩვენ, ყველას, ჩვენი ჯანსუღ ჩარკვიანი გვეყავს, რომლის პოეზიასაც ჯერ კიდევ თითისტოლები, საბავშვო ბაღში ვეზიარეთ და ახლაც ვლილინებთ ხოლმე, ჩვენს ნაძვისხეს შემოველოს ნიფელა და თელაო... სხვათა შორის, გალაკტიონის მერე, ჯანსუღ ჩარკვიანი პირველი პოეტია, რომელსაც მწერალთა კავშირმა ერთი წლის წინ სახალხო პოეტის წოდება მიანიჭა. ახლახან კი, როგორც წლის პოეზიის მეფეს, ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია „ივერია“ გადაეცა... მოკლედ, თქვენ წინაშეა ჯანსუღ ჩარკვიანის არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ...

— ბატონო ჯანსუღ, ვიცი, კარგად ხართ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: როგორ ხართ?

— შენ რომ მეტყვი, კარგად ხარო, უფლება არ მაქვს, ცუდად ვიყო! საერთოდ, იცი, საქმე რაშია? — ადამიანი ცუდად მაშინაა, როცა ცუდად ყოფნას არ ერიდება. ცუდად ყოფნას შინაგანად უნდა ებრძოდეს. ცუდად ყოფნა ისაა, როცა სიკეთეს ვერ აკეთებ და ვიღაც გძულს, თორემ სხვა რამეა, როცა ვინმეს შენ სძულხარ.

— როგორ ამბობთ ხოლმე — ვისაც ვძულვარ, არ მძულსო?

— ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება: „ვისაც ვუყვარვარ, მიყვარ და ვისაც ვძულვარ, არ მძულს!“ სიძულვილით ქვეყანა არ ამენებულა და სანყენია, რომ დღეს ბევრი მოძულე კაცია.

— გულიც არავისზე მოგსვლიათ?

— კი, როგორ არა — გული იმ ახლობელზე მომსვლია, რომელმაც მილატა. აი, მაგალითად, არასოდეს მისამოვნებდა იმის თქმა, ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო. ეს საშინელებაა და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცუდები არიან, კიდევ გუბუნები — არ მეზიზღებიან. უბრალოდ, გული ჩემს თავზე მომსვლია, რატომ ვერ შევიცანი-მეთქი. ადამიანში ყოველთვის სიკეთეს ვეძებ და ასეთ რაღაცებს ვერასოდეს ვხვდები.

— ბატონო ჯანსუღ, ამ გულისტკენის გამო ოდესმე გიტირიათ?

— არა, მაგრამ ეს გულისტკენა რაღაცნაირად გამყოლია, სულ ფიქრებში ვყოფილვარ, რატომ-მეთქი. იმას კი არა, ჩემს თავს ვადანაშაულებ, ხომ არაფერი დავაშავე-მეთქი, მაგრამ გულში ჩავიხედავ და დანაშაული არ მაქვს.

— დავიჯერო, 80 წლის განმავლობაში ერთი შეცდომაც არ დაგიშვიათ?

— შეცდომა ბევრია, მაგრამ ჩემი ცხოვრების განმავლობაში, არავისთვის მილატა.

— არც მუღლისთვის?

— ერთხელ, ეს შეკითხვა სხვა ჟურნალისტმაც დამისვა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი და ერთი ამბავი მოვუყვი.

— ამ ამბავს მეც მიაბობთ?

— მოსკოვში, რესტორანში ვისხედით — ბელა ახმადულინამ, ვეტუშენკომ და ვაზნესესკიმ მე, ოთარ ჭილაძე და ნოდარ დუმბაძე დაგვპატიჟეს. ვსხედვართ, პურს ვჭამთ. მეორე სუფრიდან ლამაზმა გოგომ გამომხედა, ვიფიქრე, ამას ცოტა სხვანაირად მოვწონვარ-მეთქი, ავდექი და გავიპარე, ამ გოგოს ხელში რომ არ ჩავეგდე.

— კარგი, რა — ვინ დაიჯერებს, რომ ჯანსუღი ლამაზ ქალს გაეცა!

— (ილიმება) რაღაცებს ვიგონებ...

— სუფრაც მოიგონეთ?

— არა, კაცო, სუფრა მართლა იყო... მოკლედ, იმ ჟურნალისტს ვეუბნები, გავიქციე, ტყის პირას ვარ და ფეხის ხმა მომესმა, მივიხედე — ეს გოგო მომდევს, უცებ „პადნოჟკა“ დამიღო და წამაქცია-მეთქი. ჟურნალისტმა მკითხა: მერეო? მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა-მეთქი.

— თქვენ და ირმა დეიდა, როგორც ვიცი, ძალიან ახალგაზრდები დაქორწინდით.

— ირმა 19 წლის იყო, მე — 23-ის.

— ნუთუ სხვა ქალით გატაცებული აღარასოდეს ყოფილხართ და ყველა სასიყვარულო ლექსი მეუღლეს მიუძღვენით?

— ვილატები მომწონებია, მაგრამ ისეთი გრძნობა, რომ მე-ფიქრია, ცოლად მოვიყვან-მეთქი, ირმას გარდა, არავის მიმართ მქონია... ვიდრე დავექორწინებოდით, ორი წელი დავდიოდით. მანამდე კი, ირმას თანასკოლელ გოგოებს ლექსებს ვწერდი.

— ვაჟთა პირველ სკოლაში სწავლობდით, არა?

— არა, მეორეში. ირმა კი, მგონი — პირველ ქალთაში... მოკლედ, ლექსებზე პასუხები მომდიოდა, მაგრამ ხელს არავინ აწერდა და საიდან გავიგებდი, რომ ირმა იყო?! მერე ერთმანეთი გავიცანით და აღმოჩნდა, ერთმანეთის სურვილი გვექონდა...

სხვათა შორის, დედაჩემი პისტი გელოვანი გახლდათ. გელოვანები თავადები არიან — ადრე სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს განაგებდნენ. მე და ირმამ ხელი რომ მოვანერეთ, არავინ იცოდა. მაშინ სოლოლაკში, ჯაფარიძის 13 ნომერში ვცხოვრობდით, მამის ბიუროც იქვე, ახლოს იყო და იქიდან რომ გამოვდივით, დედაჩემს ქუჩიდან შევხებო. გადმოხედა,

— ისე, თქვენც ხომ სომეხი ხართ — ჩარკვიანი?

— (იცინის) ერევანში ჩემი საღამო გაიმართა, მე და ნოდარ დუმბაძე წავედით — ეჰ, სანყალი, რა ბიჭი იყო!.. ერთი კაცი მომადგა და მეკითხება, ძვირფასო ჯანსუღ, მართალია, რომ ამოტ რუსთაველი სომეხი იყო? დავეთანხმე, კი, სომეხი იყო, მაგრამ მშობლიური ენა ისე ეზიზღებოდა, „ვეფხისტყაოსანი“ ქართულად დანერა-მეთქი. აუ, ბიჭო, იქ უბედურება ატყდა... მერე ვთქვი, სომეხო, ნუ გგონიათ, რომ ჩემზე მაგარი სომეხები ხართ-მეთქი: მამაჩემი არის ჩარკვიანი, დედაჩემი — გელოვანია, ბებია — ყიფიანი. ზოგმა ტაში დაუკრა, ზოგი გაცოცხლებული მიყურებდა. ერთი, მონიტელიგენტო ქალი მომადგა და მეუბნება, ძვირფასო ჯანსუღ, ეს აქამდე არ ვიცოდითო. მე რომ მეგონა, ვშაყირობდი, იმან დაიჯერა!

— ბატონო ჯანსუღ, თქვენ, ე.წ. სამოციანელები იმ დროს ბევრ რამეს ბედავდით. ეს რისკი იყო?

— როცა ამ ქვეყანაზე ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, გურამ ფანჯიკიძე, რეზო ინანიშვილი, არჩილ სულაკაური და კიდევ უამრავი ხალხი იყო, ხმა უნდა ამოგელო. ეს თაობა თავისას აკეთებდა. იმ დღეს მითხრეს, „ცისკარი“ ახლაც არსებობსო. მაშინ, როცა მთავარი რედაქტორი ვიყავი, „ცისკარი“ 70-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა, ახლა კი, 200 ცალი გამოდის, თურმე. აქედან გამომდინარე, მაშინდელი და დღევანდელი ახალგაზრდობა შევედართო — რას კითხულობდა და რას კითხულობს.

— ისე, თქვენ რომ არა, ბატონო ჯანსუღ, დღის წინათ-ლეს ვერც ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ ნახავდა

და ვერც — გურამ ფანჯიკიძის „თვალის პატიოსანი“. ის ამბავი მომიყევით, ცხონებულ ჭაბუას სეთურის სოფელი რომ გაამძაფრებინეთ...

— ჭაბუამ „დათა თუთაშხია“ მომიტანა, ამის დამბეჭდავი შენ კი არა, არავინაა, მაგრამ მინდა, შენც წაიკითხო და ირმასაც წააკითხო.

— ანუ, ასე ვთქვათ, გადასახედად მოგიტანათ?

— დიხა. იცოდა, ჩემი მეუღლე განსაკუთრებული მკითხველი იყო...

— ამ დროს ჭაბუასთან უკვე მეგობრობდით?

— კი, ძალიან კარგი საბავშვო მოთხრობები ჰქონდა... ერთი კვირის მერე დავურეკე, რედაქციაში მოდი-მეთქი და რომ მოვიდა, ვუთხარი, ისე დაებეჭდავ, სიტყვასაც არ ამოვიღებ-მეთქი. ფურცლები ილლიაში ამოიჩარა და ოთახიდან გავიდა.

— რატომ?

— არ დაიჯერა, ეგონა, ვაშაყი-რებდი. მოკლედ, როგორც იქნა, მოვებრუნე და ვუთხარი, აქეთ-იქით გაქცევა-გამოქცევაში 85 წელი გქონდა მისჯილი, 18 მოიხადე და ციხის ამბავი და სეთურის სოფელი გაამძაფრე, ხალხი უფრო დაიჯერებს-მეთქი... გაცოცხლებული წავიდა... დაბეჭდავა ოთახიდან გავიდა.

— ვის?

— ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს...

— ალბათ, შევარდნაძეს გულისხმობთ... როგორც ვიცი, ჯერ კიდევ იმ დროიდან მეგობრობდით, ვიდრე შევარდნაძე შევარდნაძე გახდებოდა. ამ მეგობრობით ხომ არ სარგებლობდით ანუ რისკავდით, რადგან იცოდით, მეგობარი არ გაგაცნობიერებდათ?

— ვანო, იცი, საქმე რაშია? — შევარდნაძის ახლო მეგობრები მე, ჭაბუა და ნოდარი ვიყავით ანუ სურვილი თავად ჰქონდა, ჩვენი ახლობელი ყოფილიყო. ჩვენს ურთიერთობაში იძულება არ არსებობდა და რაც მინდოდა, იმას ვებეჭადე!

— გურამ ფანჯიკიძის „თვალის პატიოსანი“ თავიდან სხვა სახელი ერქვა და თქვენ გადაარქვით, არა?

— კი, ასე იყო...

— ცეკა-ში ამ რომანის გამოქვეყნების გამოც დაგიბარეს...

— შევარდნაძეს ტელეფონზე ვეზუმრე, ვიცი, დამიჭერენ, წაიკითხე და ჩემს ოჯახს მიხედე-მეთქი. ერთი კვირის მერე დამირეკა, ჟურნალი წავიკითხე და ოჯახის მიხედვა ჩემზე იყოსო.

რაც შეეხება სათაურს, თავდაპირველად „მარჯვნივ და მარცხნივ“ ერქვა და ეს იმ დროს ასე აღიქმებოდა, შენი დედა აქედან და იქიდანაცო. გურამს ვუთხარი, ეს ცოტა უხერხულია და მოდი, ხალხს პატიოსანი თვალის დანახული ქვეყანა ვაჩვენოთ და „თვალის პატიოსანი“ დავარქვათ-მეთქი.



რა მოხდაო. ცოლი მოვიყვანე-მეთქი, თითი შუბლთან მიიტანა, კარგად ვერ ხარო და შებრუნდა, მაგრამ იმ წუთას უკანვე გამოვიდა და მკითხა, რა გვარიაო. ჩხეიძე-მეთქი. ახლავე ამოიყვანე, ახლავეო — გელოვანს ჩხეიძე მოეწონა და იმ დღიდან ჩემს წინააღმდეგ ერთმანეთს შეეკრნენ.

— ბელა ახმადულინას მართლა უყვარდით?

— არა, ბელას ოთარ ჭილაძე უყვარდა.

— სხვათა შორის, გაგანია კომუნისტების დროს, ბელას წიგნი, რომელიც რუსეთში აკრძალეს, როგორც ვიცი, საქართველოში თქვენ გამოეცით...

— დიხა...

— ბატონო ჯანსუღ, ეს თავისუფლება ოჯახმა, ასე ვთქვათ, მოგცათ?

— ასეა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა: თუ ვაჟკაცი იყავი და უკან არ დაიხვედი, ცენზურის მიუხედავად, თავისუფლება არსებობდა! ერთხელ, ლექსები დავებეჭდე, ცეკა-ში ამბავი მიიტანეს, სხვანაირი ლექსები იყო და ცეკა-ს ერთ-ერთი მდივნის ხელმძღვანელობით, გაზეთ „კომუნისტის“ მთელი ტირაჟი დანვეს.

— ჟურნალი „ცისკარი“ კი „მერვე პოლკმა“ ხიმტებით დახვრიტა, არა?

— კი, კაცო — ერთი სომეხი ირემებდა, მცხეთის ჯვარი ჩვენიო და ამაზე „ცისკარში“ რეზო ჯაფარიძის საოცარი წერილი დავებეჭდე, მაგრამ სტამბაში „მერვე პოლკი“ შევიდა და ჟურნალი დახვრიტა. სტამბის მუშებმა რამდენიმე ეგზემპლარის გადარჩენა შეძლეს...



— დაგთანხმდით?

— ძალიან გაუხარდა... გურამი ნიჭიერი კაცი იყო...

— ერთი სიტყვით, რომანის გამოქვეყნების მერე, ცეკა-ში დაგიბარეს...

— ცეკა-ში ხშირად მიბარებდნენ, ვეუბნებოდი ხოლმე, კარგი ლიტერატურული ნაწარმოებია და დანარჩენი ცუდს ვერაფერს ვხედავ-მეთქი...

— ჟურნალისტიკა ახალი დამთავრებული მქონდა, „ცისკარ-ში“ ლიტმუშაკად რომ ამიყვანეს, მაგრამ კორექტორად გამაფორმეს. მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე იყო. ჰოდა, ერთხელ შევიდომა გაიპარა — პირსისხლიანი ბოლშევიკებიო. ერთი ამბავი ატყდა და რადგან კორექტორი ვიყავი, მე დამიბარეს, ბიჭო, პირსისხლიანი მენშევიკები უნდა ენეროს, აქ კი, ბოლშევიკები წერია და ეს კორექტურააო. ცეკა-ს მდივანმა მჭავანაძეს დაურეკა, ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა და ამბობს, ჩემი ბრალია, კორექტურა გაიპარაო. მჭავანაძემ მიუგო, გაანებეთ თავი, ეგ ვაჟკაცი ხალხიაო.

— „თვალისპირის“ გამოქვეყნების მერე კი, მე და გურამი ცეკა-ში ცალ-ცალკე დაგიბარეს. ვუთხარი, გურამს რას ერჩით, მე გამოვაქვეყნე და მე დამსაჯეთ-მეთქი. გურამს კი უთქვამს, რომანი მე დაგწერე, ჯანსუღს რას ერჩით, მე უნდა დამსაჯოთო. მჭავანაძე ისევ გაგაფებულა, ამისთანა ძმობა ჰქონიათ და თავი გაანებეთო...

— ბატონო ჯანსუღ, ბარემ, ინაურებისა და შინაურების ამბავიც მომიყევით...

— სუფრაზე ვიყავით და ეღუარდმა ერთ საშინელ კალც-ლექსზე მითხრა, თქვიო. ვერ ვიტყვი-მეთქი. თქვი, ბიჭო, აქ სულ შინაურები არიანო. მიუფეგე, შინაურები კი არა, ინაურებიც არიან-მეთქი. ეღუარდმა, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. ერთი კაცი უნდა დაგდევდეს და შენს ფუნაგორიებს ინერდესო. მიუფეგე, კიდევ დამდევენ და კიდევ ინერენ-მეთქი.

— ამ სუფრაზე ინაურიც იყო?

— კი...

— რაღაც საბჭოთა კავშირის ცეკა-ს მეორე მდივან ლიგაჩოვს თქვით, არა?

— ლიგაჩოვი საქართველოში იმიტომ ჩამოვიდა, ქართველებისთვის ღვინო აეკრძალა. ეს ისეთივე ამბავია, კაცს ცოლის მოყვანა რომ აუკრძალო. ისევ სუფრაზე ვართ. ჰოდა, ხალხს ვუთხარი, აბა, დაიმახსოვრეთ, ნუ ენდობთ ლიგაჩოვს, ქაქის ჭამას მიგაჩოვთ-მეთქი, თან მოვიტხოვო, რუსულად ეთარგმნათ. შარტავა გაგიჟდა, არ თარგმნოთო...

— „გაზაფხულია, მოდის მაისიც“ თქვენი ცნობილი ფუნაგორია, რომელიც ერთ ცნობილ პიროვნებას უთხარით...

— ამ ადამიანმა ხანდახან ჩემს სტილში იცის წერა. აი, მაგალითად, ერთხელ ვთქვი, ქაჯობამ გვაჯობა-მეთქი. მერე, ის ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, მე ვთქვიო. მერე, ჩემი ძველი ხუმრობაც გადააკეთა.

— რომელი?

— ეღუარდს ვუთხარი: მთავარია მამათი, დედაც მოვკალ ამათი-მეთქი. ის პიროვნება გამოვიდა და თქვა, მამათი და დედა ამათიო. ლექსისა არ იყოს, ფუნაგორიამიც რითმია მთავარი.

— ჰოდა, ერთხელ ეს პიროვნება შემხვდა, მომიკითხა, როგორ



ხარო. როგორ ვარ და, ლექსების წერა შენს სტილში დავიწყე-მეთქი. აბა, რამე მითხარითო და ვუთხარი: გაზაფხულია, ჰყვავის მაისი, შიგ ხომ არა გაქვს, ხელი მაისვი. გაგიჟდა, მაგრამ ისეთი იუმორი აქვს, არ სწყენია...

— ვერ გავიგე, ვისი ვიოლინო, ვის როიალშიაო — ესეც ხომ თქვენ თქვით?

— კი...

— დღეს თუ იცით, ვისი ვიოლინო ვის როიალშია?

— ვერა... ნაცებს ყოველთვის ფაშისტებს ვეძახდი — ჰიტლერის პარტიასთან ძალიან ახლოს იყვნენ.

— „თავისუფლება“ მხოლოდ ნაცების კი არა, ყველა პარტიის მიტინგზე ისმოდა და ისმის!

— ეს სიმღერა ჰიმნივითაა — ყველას უნდა, ამ ქვეყანაზე თავისუფლება იყოს, მაგრამ აქამდე თავისუფლება კი არა, საშინელება იყო. „ოცნებამ“, უპირველესად ბიძინა ივანიშვილმა, ხალხს თავისუფლება მოუტანა და ამამი ორი აზრი არ არსებობს — ის დანაგვრდა და ცოცხების უბედურება აღარაა, მაგრამ ხელისუფლებაში ცოტა სუსტები აღმოჩნდნენ: თუ ნაღდი მკვლელია, მაშინ თავისი უნდა მიუზღო და თუ ამისი შიშო არ გაქვს, ნუ იტყვი, რომ თავისუფლებაა, რადგან თავისუფლება სასამართლოდან, პროკურატურიდან მოდის. როგორ შეიძლება, ნაღდი თავისუფლება იყოს, როცა სასამართლოს ისევ კუბლაშვილი ხელმძღვანელობს?!

— რა ვიცი, ვილაცები ამბობენ, ნაცებს ირაკლი ალასანი მფარველობდაო...

— ამას ვერასოდეს დავიჯერებ... ირაკლი უდაბუნელები დიპლომატია და, ის ურთიერთობა რომ გაგრძელებულიყო, რაც თავის დროზე აფხაზებთან ჰქონდა, აფხაზეთი დღეს შეიძლება, დაბრუნებული ყოფილიყო! ალასანია თავს იმის უფლებას არ მისცემს, ვილაც მართოს! შეიძლება, ვილაცის დახვეწა არ უნდოდა... ხელისუფლება რომ ხარ, მონინალმდეგეს უნდა აჯობო და, თუ ამას ვერ გააკეთებ, მონინალმდეგე გეტყვის, ისევ მე უნდა დავბრუნდეთ და ღმერთმა ნუ ქნას, ეს მოხდეს, თორემ ჩვენი საქმე გლახად იქნება.

როცა დღევანდელ ხელისუფლებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რაც მედიცინაში ხდება — ყველა დაზღვეულია. ჯანდაცვის მინისტრს, დავით სერგეენკოს ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ საქმიდან ჩანს, საინტერესო პიროვნებაა. ვილაც ნაციონალი არ იტყვის, მაგრამ განა, საქმე არაა, ბავშვებს ნიგნები უფასოდ რომ დაურთავდათ?

მეკითხებიან ხოლმე, ივანიშვილი მართლა რუსი ოლიგარქია და საქართველოს კულუარებიდან მართავსო? მოგახსენებთ: თუ ბიძინა ივანიშვილი რუსი იყო და სააკაშვილი — ქართველი, ეს არ ვიცოდი.

რაც შეეხება მართვას, ივანიშვილი, შეიძლება, მოძღვრავდეს თავის სამეგობროს, სააკაშვილი კი შორიდან — კიევსა და ვაშინგტონიდან რომ მართავს ნაციონალებს, ფაქტია.

ერთსაც დავამატებ: ნაკითხული მაქვს ადოლფ ჰიტლერის გამონათქვამი: „ბედნიერი ვარ, რომ ნაციონალური პარტიის წევრი ვარ!“ ვერ დავიჯერებ, მიშას არ სცოდნოდა, თავის პარტიას ფაშისტთა პარტიის სახელს რომ არქმევდა.

— ბატონო ჯანსუღ, თქვენი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლისგან განსხვავებით, რუსეთს საქართველოს მტრად თვლით...

— რუსეთშიც არიან პიროვნებები, რომლებიც პოლიტიკისგან შორს დგანან... ისე, ადრე ასეთი სილატაკე არ არსებობდა და რაც დღეს ხდება, უბედურებაა, მაგრამ მაშინ ის არ გვქონდა, რაც მთავარია — თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მაგრამ დამოუკიდებელი რომ ხარ, იმის თავიც უნდა გქონდეს, ადამიანებს ნორმალური პენსია დაუნიშნო!

მოკლედ, ბრეჟნევი, ხრუშჩოვი და პუტინი უბედურებაა, მაგრამ პუტინს ბელა ახმადულინას, ევტუშენკო, ვაზნესევისკის, ტოლსტოისა და პუშკინის რუსეთი არ უნდა შეადრო! ისე, მაგალითად, ბალტიისპირეთმა რუსეთთან საერთო ენა, ასე თუ ისე, გამოიხატა. ჩვენც დიპლომატია გვჭირდება... ნატო-მ არ იცის, რომ უბედურ დღეში ვართ და 10 წლის მერე რატომ უნდა მიგვიღოს? ყველაზე ნაღდი იქნება, ნატო-ს ჯარი ჩვენთან იყოს და რუსეთიც ხმა ვეღარ ამოიღებს.

ნატო-ზე ერთი კარგი რაღაც გამახსენდა.

— ელდარ შენგელიას რომ უთხარით?

— დიას... პარლამენტში, ნატო-ში შესვლაზე ხელი მოვანერეთ. ჰოდა, ელდარს ვეხუმრე, ნატოდან გამოსვდი და ისევ ნატოში შედიხარ-მეთქი. დედამისი ხომ ქალბატონი ნატო ვაჩნაძე იყო...

— დსთ-ში შესვლის მერე, შევარდნაძეს რა მისწერეთ, გასოვთ?

— კი...

— მეტყვიეთ?

— ასე გვითხრა შევარდნაძემ, ტრიბუნაზე შემდგარმა: შესვალთ? — დედა მოგეკვლებათ, არ შესვალთ და — დედ-მამა.

— დსთ-ში შესვლა ამ ფუნაგორიით გაპროტესტით?

— დიას... ჰოდა, შევარდნაძემ მიპასუხა, ბიჭო, რა ტიპი ხარ, დედა გასაგებია, მაგრამ მამა შეშველოდაო...

— ცხონებულსაც კარგი იუმორი ჰქონდა...

ბატონო ჯანსუღ, ზამთარი გიყვართ?

— ვერ ვიტყვი, რომ წელიწადის რომელიმე დრო განსაკუთრებით მიყვარს. თუ ზამთარია, თოვლი უნდა იყოს.

— შეურაცხყოფილი სოვლი როგორია?

— თოვლი სხვანაირი თოვფთავე, ქალური მშვენიერებაა და როგორც კი დააბიჯებ, შეურაცხყოფილი ხდება...

— ოდესმე გავაზაფხულებთ?

— ოპტიმისტი კაცი ვარ, იმედით ვცხოვრობ და მინდა, დავიჯერო, რომ რაღაც გვეშველება...

ვერ ვიტან ისეთ ქართულ გამოთქმებს, მაგალითად, როგორიცაა, ძმა ძმის მტერიაო. ბიჭო, ეს როგორ უნდა თქვა, მაგრამ ფაქტია: იქ, სადაც ძმა ძმის მტერია, საქმე ვერ გაკეთდება!

უამრავი მეგრელი ძმაკაცი მყავს და სამეგრელოსაც უდიდეს პატივს ვცემ. უნდა თქვა, რომ დიდებული ქართული ენა მეგრულზე, სვანურსა და ჭანურზე აღმოცენდა, მაგრამ, როცა „ვეფხისტყაოსანს“ მეგრულად თარგმნი, აქედან დასკვნა ასეთია: შენი ენა არ ვიცი და „ვეფხისტყაოსანს“ ჩემს ენაზე ვკითხულობო. ყველა კუთხის შვილი ქართველი უნდა იყოს და ვიდრე ამას არ მივალწევთ, არაფერი გვეშველება!

— ბოლოს, ბატონო ჯანსუღ, ჟურნალისტი რომ იყოთ, რას მკითხავდით?

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე და არაერთი ჟურნალისა თუ გაზეთის რედაქტორიც ვყოფილვარ, მაგრამ ჟურნალისტიკაზე თავი არასოდეს დამიძია. 18 მოთხრობაც მაქვს დაწერილი, მაგრამ მე პოეტი ვარ და არსად დამინერია: ჯანსუღ ჩარკვიანი — პოეტი, პროზაიკოსი...

ზოგიერთ ჟურნალისტს არ ვენდობი — მეთავისე გახდა. ჟურნალისტი, აკაკი წერეთლისა არ იყოს — „შუა კაცი ვარ უბრალო, არც მინისა ვარ, არც — ცისა“, მიუმხრობელი უნდა იყოს. ყველა ჟურნალისტს ვენაცვალე, ვინც მიუმხრობელი და პროფესიონალია! ჟურნალისტმა მთელი ქვეყნის ფასი უნდა იცოდეს და საქართველოს გამთლიანებისთვის იბრძოდეს!

— ..ცხოვრება ომია?

— რა თქმა უნდა...

— ამ ომში ადამიანი იმარჯვებს თუ ცხოვრება?

— რაშია საქმე, იცი? — ცხოვრებაზე გამარჯვება ძალიან ძნელია, მაგრამ ცხოვრებას უდიდესი დატვირთვა აქვს: ცხოვრება ბორცვებზე, სიყვარული, სინათლე და ყველაფერია, რაც კი ამ ქვეყანაზე არსებობს. თუ სიყვარულის გზით მიდიხარ, ეს ჭეშმარიტი ცხოვრებაა!

— ბატონო ჯანსუღ, დიდხანს იცოცხლეთ!



ექსპერტები ახალი მთავრობის შექმნას ელიან

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

რა ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას საქართველო ახალ, 2015 წელს? — ეკონომიკის ექსპერტები „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებენ, რომ მთავარი გამოწვევა მაკროეკონომიკური სტაბილურობაა, რისთვისაც ქარბი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია საჭირო. ასევე, აუცილებელია საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვა, რადგან ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი — ბიუჯეტი მხოლოდ წლის ბოლოს, ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე შეივსოს.

„ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, **რომან გოცირიძე**, 2014 წელს, ეკონომიკური თვალსაზრისით, უარყოფითად აფასებს — 5-ბალანი სისტემით, საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ გუნდს მხოლოდ 3 ქულას უწერს და „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ გასული წელი „სამოსანი“ იყო:

„დადებით ფაქტორად საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება მიიჩნევა. ისიც დადებით მოვლენაა, რომ წლიური ინფლაცია დაგეგმილის ფარგლებს არ გასცდა და, ლარის დევალაციის მიუხედავად, ამას საგანგაშო ფორმა არ მიუღია. ასევე, დადებით ფაქტორად ვთვლი, რომ პრეზიდენტმა, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ფიგურამ, პოლიტიკურ ლანდშაფტში ნელ-ნელა საკუთარი ადგილი მოძებნა, რაც რამდენიმე კანონზე ვეტოს დადებაში გამოიხატა. პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მართვის იერსა და ისიც ერთ-ერთი კარგი ტენდენცია იყო, რომ ეკონომიკის ექსპერტებთან კონსულტაციის შემდეგ, გიორგი მარგველაშვილმა ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დანიშნა. დადებით მოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ — აქამდე, ამ ტიპის პროგრამების ფარგლებში, სახელმწიფოს ნილოზრევი მონაწილეობით, რამდენიმე სანარმოე შეიქმნა, რისთვისაც ათეულწილად მილიონი დოლარი დაიხარჯა, მაგრამ ეს სანარმოეები დღემდე გაჩერებულია. საერთოდ, სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობას სკეპტიკურად აღვიქვამ, მაგრამ „ანარმოე საქართველოში“ გარკვეულ იმედს იძლევა. ფაქტია, სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, საკმაოდ დიდი რაოდენობის ინვესტიციის განხორციელება დაიწყო“.

რაც შეეხება 2014 წლის უარყოფით ფაქტორებს, რომან გოცირიძე ლარის კურსის ვარდნას მიიჩნევს. ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებაზე გავლენა გარე ფაქტორებმაც, მაგალითად, რუსული რუბლისა და უკრაინული გრივნის დევალაციამ მოახდინეს. რომან გოცირიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესები ნეგატიურად აისახა პროდუქციის ექსპორტზე, რუსული რუბლის დევალაციის გამო კი, საქართველოში ფულადი გადმორიცხვები შემცირდა:

„უარყოფით ფაქტორებში უნდა განვიხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი — სახელმწიფო ბიუჯეტი, პრაქტიკულად, დეკემბრის ბოლო დღეებში შესრულდა. მთავარი პრობლემა კი მაინც მთავრობის ეკონომიკური გუნდის სისუსტე და მთლიანად, მაღალ სამთავრობო ეშელონში არსებული კადრების არაკომპეტენტურობა იყო. სახელმწიფო მართვის სისტემა ეფექტური არ ყოფილა, რაც გავლენას სხვადასხვა პროექტის განხორციელებაზეც ახდენდა. ასევე, უარყოფითი ფაქტორი იყო მთავრობის მიერ ლიბერალიზირებული ეკონომიკური ფილოსოფიის შეცვლა გაურკვეველი ფილოსოფიით, რამაც ტურიზმი სერიოზულად შეაფერხა — ვგულისხმობ სავიზო შეცდომებსა და რეგულაციებს სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, უცხოელებზე მიწების გაყიდვის შეზღუდვასა და მორატორიუმს“.

2014 წლის შეფასებისას, რომან გოცირიძე უარყოფით



2014 წლის მთავარი ეკონომიკური შედეგა და 2015 წლის პროგნოზი

ფაქტორად რთულ პოლიტიკურ კლიმატსა და მუდმივად დაძაბული ფონის შექმნასაც მიიჩნევს. გასული წლებისგან განსხვავებით, როცა ოპოზიცია ძლიერი იყო და პოლიტიკურ დაძაბულობას სწორედ ხელისუფლების ოპონენტები ქმნიდნენ, ახლა სიტუაცია შეიცვალა. ექსპერტი აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ ძლიერი ოპონენტები არ ჰყავს და პოლიტიკურ დაძაბულობას ხელისუფლება ქმნის, რასაც მისი საგარეო ავტორიტეტი მინიმუმამდე დაჰყავს:

„უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო, ხელისუფლების პოზიციას მისი საგარეო იმიჯი შელახვა მოჰყვა. მიმჩნევა, რომ ხელისუფლებამ უკრაინის მთავრობაში ყოფილი ქართველი ჩინოვნიკების დანიშვნას ზედმეტი მნიშვნელობა მიაანიჭა და ისეთი კამპანია წამოიწყო, რომელიც თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. ვგულისხმობ ზარებსა და თხოვნებს, რომ სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის ქართველი ჩინოვნიკები არ გაეკარებინათ. ამან სერიოზული დაცინვისა და აბუჩად აგდების ფორმა მიიღო, ვინაიდან უკრაინა დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და საქართველოს ხელისუფლების ეს პოზიცია მხედველობიდან არავის გამორჩენია.“

რაც შეეხება 2015 წელს, ახალი მთავრობის შექმნას ველოდები, რომელსაც უმრავლესობა ჩამოაყალიბებს. პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, მძიმე სოციალური ფონი, პირველ რიგში კი იმედგაცრუება, სწორედ აქეთკენ მიდის. პირადად ანგარიშობ, პრემიებისა და დანამატების დანიშვნამ ხალხში იმედგაცრუება გამოიწვია და ოცნებები, პრაქტიკულად, დაიმსხვრა. ზოგადად, ამ ორწლიან პროცესს „ოცნებების სასაფლაო“ ვუწოდებდი.“

ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენია აცხადებს, რომ 2014 წელი საკმაოდ ცუდი იყო, რადგან საქართველოს ირგვლივ მძიმე სიტუაცია დაიხატა. მეზობელი ქვეყნების — უკრაინისა და რუსეთის ომს, თურქეთში მიმდინარე რთული ეკონომიკური სიტუაცია, ნავთობის ფასის ვარდნა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დაემთხვა, რაც საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. **ემზარ ჯგერენიას** განმარტებით, ამ მოვლენებმა გარკვეული ზეგავლენა ინვესტიციების შემცირებაზეც მოახდინა:

„2014 წელი რთული იყო, მაგრამ მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ სირთულეების დაძლევა მეტ-ნაკლებად შეძლო. შარშან ქართული ეკონომიკისთვის სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაფიქსირდა: პირველ რიგში, გამოყოფილი სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებს, რის შედეგადაც ღვინის რეკორდული რაოდენობა გავიდა ექსპორტზე. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ძირეული გარდატეხების პროცესი დაიწყო, რასაც დარგის სრულყოფა მოჰყვება. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი დაზღვევის სფეროა. საყოველთაო დაზღვევა სრულად გადავიდა სახელმწიფოს მმართველობაში და საქართველოს მოსახლეობა მოიცვა. მესამე — საბანკო სექტორშიც

მნიშვნელოვანი მოვლენები დაფიქსირდა. როგორც იქნა, არაპროფილური აქტივები გამოეყო ბანკებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია, რომ საქართველოში მყარი ფინანსური ინსტიტუტები შეიქმნას“.

რომან გოცირიძის მსგავსად, ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძეც მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ევროპას შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა 2014 წლის მნიშვნელოვანი და პოზიტიური ფაქტი იყო. მისი თქმით, ეს პრაქტიკულად, ახალი შესაძლებლობები და გარკვეული ავანსია საქართველოსთვის, რომლის გამოყენება იმაზე დამოკიდებული, ქვეყანა რა პოლიტიკას განახორციელებს:

„ევროპის ბაზარი საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის ულიმიტოა. სწორი აქცენტები კი საშუალებას მოგვცემს, ეს ბენეფიტი მივმართოთ, როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე, ქვეყანაში ძლიერი, სოციალური გარანტიების შექმნისთვის. 2014 წელი მარტივი წელი არ ყოფილა, რადგან მაკროეკონომიკურ პარამეტრებთან დაკავშირებული გარკვეული მოლოდინი, რაც, ერთი მხრივ, საზოგადოებას და მეორე მხრივ, ხელისუფლებას ჰქონდა, არ გამართლდა. რთული წელი გვექონდა საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისითაც — მთავრობამ ამ მხრივ, ბევრი შეცდომა დაუშვა, თუმცა თავად საბიუჯეტო პროცესი გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე 2013 წელს. ყველაზე მთავარი, რაც ადრეც მითქვამს, ისაა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემა გვაქვს. მონეტარული და ფისკალური პროცესების სტაბილურობის მხრივ სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია ძირითადი დამბლანსებელი ფაქტორი. თუ გვინდა, ქვეყანა ეკონომიკურად შედეგს, მონეტარული, ფისკალური და ბიზნესპროცესები სტაბილური, პროგნოზირებადი და პროგრესული ორიენტაციის იყოს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებით, ის, რომ ლარის სტაბილურობა ყოველთვის საჯილდო ქვა და ყველაზე მტკივნეული თემაა, მნიშვნელოვანწილად, იმითაა განპირობებული, რომ მთავრობა პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტად არ იყენებს. ვისურვებს, 2015 წელს, მთავარი აქცენტი სწორედ მონეტარულ პოლიტიკასა და სტაბილურობაზე გაკეთდეს, ამ მიმართულებით აუცილებელია გარღვევა პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში“.

ლევან კალანდაძის შეფასებით, 2015 წლის მთავარი გამოწვევა საბიუჯეტო პროცესი იქნება. მისი თქმით, ბევრს საუბრობენ, შესრულება თუ არა 2015 წლის ბიუჯეტი, ან სწორად დაიგეგმა თუ არა ქვეყნის მთავარი, ფინანსური დოკუმენტი. სინამდვილეში, მთავარია, საბიუჯეტო პროცესის სწორად გამოყენება ვისწავლოთ. პრობლემები, რაც მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, ტენდერების ჩატარების საკითხებს, უკავშირდება სისტემურად უნდა გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პროცესი, რაც 2014 წლის განმავლობაში საბიუჯეტო თანხების ათვისებას უკავშირდებოდა, მომავალ წელსაც გაგრძელდება:

„2015 წელს, მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მონეტარულ სტაბილურობაზე და ამ მიმართულებით, რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადაიდგას. პირველ რიგში, აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საბიუჯეტო პროცესის სტაბილურობა და იმ სისტემური პრობლემების მოგვარება, რაც ამ პროცესს თან სდევს. მტკივნეულ თემად რჩება მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული პრობლემური ქეისები, რომლებიც ახლავ თუ არ გადაწყდება, გრძელვადიან პერსპექტივაში, სიგნალი იქნება, რომ საქართველოში ინვესტიციების განხორციელება გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ხელისუფლება მაქსიმალურად მოზიარებული და ორიენტირებული სწორედ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაში უნდა იყოს. მხედველობაში მაქვს ნენსკრას პროექტი, რომელიც 2015 წელს აუცილებლად უნდა დაიწყო, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ხუდონჰესის საკითხი და ანაკლიის პორტის პროექტიც დასაჩქარებელია. ასეთი ტიპის პროექტების დაწყება იქნება სიგნალი, რომ ხელისუფლება და საზოგადოება მზადაა, ქვეყანაში ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკა ჩამოაყალიბოს და ბიზნესთან პარტნიორობით, პროგრესის საფუძველი გახდეს“.

პერსონიუსი

იპარკლა პოლიციელმა მრავალშვილიანები და მოხუცები დაასაჩუქრეს



პოლიციის თანამშრომლებმა ასევე მოინახულეს ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში მცხოვრები 90 მოხუცი და მათ პლაზმური ტელევიზორი, ხორცსაკეპი მანქანა და ტკბილეული მიუტანეს.

შს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებულ საქველმოქმედო აქციას განაგრძობენ. იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით მამულაშვილი და მისი თანამშრომლები ქუთაისში მცხოვრებ ორ მრავალშვილიან ოჯახს, ხანდაზმულთა პანსიონატს ესტუმრნენ და საჩუქრები გადასცეს.

სამართალდამცველებმა თამაზ მინდიაშვილის ხუთშვილიან ოჯახს საოჯახო ტექნიკა: სარეცხი მანქანა, მაცივარი, ლეპტოპი, ელექტროჩაიდან, ტკბილეული და საკვები პროდუქტები მიუტანეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ასევე ესტუმრნენ მამუკა ცომიას ოთხშვილიან ოჯახს და გახუჭურა, სარეცხი მანქანა, მაცივარი, ელექტროჩაიდან, ტკბილეული და საკვები პროდუქტი გადასცეს.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, იმერეთის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ასევე მოინახულეს ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში მცხოვრები 90 მოხუცი და მათ პლაზმური ტელევიზორი, ხორცსაკეპი მანქანა და ტკბილეული მიუტანეს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აგრძელებს საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობას ქვეყნის მასშტაბით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი, მრავალშვილიანი ოჯახების, ბავშვთა სახლებისა და მოხუცებულების დასახმარებლად.

„ვერსიანიუსი“

წინა ხელისუფლების დროს ციხეებიდან გათავისუფლებული კრიმინალური ავტორიტეტები საქართველოში სამ დღეზე მეტხანს ვერ ჩერდებოდნენ — გათავისუფლების შემდეგ, ვალდებულნი იყვნენ, ქვეყანა დაეტოვებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკან უმიზეზოდ აბრუნდებდნენ, უფრო სწორად, პოლიცია წამალს ან იარაღს ჩაუდებდა და ახალ „სროკზე“ უშვებდა. მიდგომა არც ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა, კრიმინალური ავტორიტეტებს ქვეყანაში იგივე სქემითა და პირობით არ აჩერებს: გათავისუფლებული კრიმინალი სამშობლოდან სამ დღეში უნდა გადაიხვეწოს. ამის შემდეგ, პოლიცია მის სახლში მიდის, ჩხრეკას ატარებს, იარაღს „პოულობს“ და ქვეყნიდან წასულ კაცს ძებნაზე სვამს, ოღონდ მხოლოდ საქართველოში, საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა აქვს, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში კი, იჭერენ...

სოსო გ. ერთ-ერთი იყო იმ იშვიათთაგან, რომელიც დუმბადის მურტალოსავით საქართველოში არ „მუშაობდა“ და სათარეშოდ უკრაინა და რუსეთი ჰქონდა. ქართულმა პოლიციამ ეს იცოდა და ანგარიშსაც უწევდა — ახლობლის გასვენებაზე ან ქორწინებაში ჩამოსული სოსო სამშობლოში თავისუფლად მოძრაობდა, მაგრამ ორ დღეში ქვეყანა ყველა ვარიანტში უნდა დაეტოვებინა, თუმცა...

რუსთავის №17 ზონაში სოსო მაცურებლების კამერაში იჯდა, სადაც მეექვსე, ე.წ. კრიტის ზონიდან მიიყვანეს და პატიმრებმა მაშინვე სასათბურე პირობები შეუქმნეს. მიყვანიდან ორ დღეში სოსომ მაცურებლები სრული შემადგენლობით შეკრიბა და მშვიდად გამოუცხადა — ერთადერთ რამეს ვითხოვ, უსამართლოდ დაჩაგრული პატიმარი არ მოვიდეს ჩემთან, თორემ პასუხს ყველას ერთად მოგთხოვთო და ზონაც თითქოს სხვა რეჟიმზე გადავიდა, თითქოს დანყნარდა. თავად კამერიდან იშვიათად გამოდიოდა, იჯდა, კითხულობდა, ტელევიზორს უყურებდა და უზომოდ ბევრ ჩაის სვამდა. პატიმარი №0578 რამდენჯერმე იყო სოსოსთან მისული, ხან იქიდან მოუარა, ხან აქედან, მაგრამ ვერაფერი დააცდენინა. მას ყოველთვის ელიმებოდა, თავზე ხელს გადაუსვამდა და ჩაიზე ეპატიჟებოდა. ყველამ იცოდა, რომ სოსოს 20 წელი ჰქონდა მისჯილი დიდი ოდენობით ნარკოტიკის შექმნა-შენახვის გამო, თუმცა ისიც ყველამ იცოდა, რომ სოსო წამალს ცხოვრებაში არ გაკარებია.

ერთ დღეს, №0578-ის საკანში სოსო თავად გამოჩნდა. მშვიდად მიმოიხედა, ნაცნობი პატიმარი თვალებით მოძებნა და ღიმილით ჩამოჯდა ნარზე. ჯერ ჩაი მომიდუღოს ვინმემო, მშვიდად თქვა და როცა რამდენიმე კაცმა ერთდროულად დაიწყო ჩაის მოადუღება, №0578-ს მხარზე ხელი დაჰკრა და ღიმილით დააყოლა: „გადიხარ ხო?! გვტოვებ, არა?! არ გრცხვენია, ბიჭო?!“

„ჯერ ჩემს გასვლამდე ორი კვირაა, სოსო და, მეორეც, მართლა მრცხვენია, შენაირი კაცი აქ რომ რჩება, მაგრამ მე რა შემძლია?! მითხარი, თუ რამე გინდა და თუ შევძლებ, კი იცი შენ, თავს არ დაეზოგავ“, — გაელიმა პატიმარსაც.

„მომისმინე. ტელეფონის ნომერს გაგატან, გარეთ რომ გახვალ, დარეკე — უკრაინაში გარეკინებ. უთხარი, დათუნის ამ მომცა ეს ნომერი და ბანკში გადარიცხვა გააკეთეთ, ოჯახისთვის უნდათ-თქო. შენ ნებისმიერი ანგარიში მიეცი, შენი ახლობლის ან ვინმესი და დაჯდება ფული. ის ფული მინდა, ჩემთან, სოფელში ჩაიტანო და დედაჩემს მისცე. ჩემს ბიჭს მივცემდი, მაგრამ 16 წლისაა, ცოტა თავში უქრის და ამიტომ დედაჩემს ჰქონდეს, სჯობია“, — ჩუმად თქვა სოსომ.

„და დათუნია ვინ არის?! და ცოლი არ გყავს?! და იმ უკრაინელმა უარი რომ თქვას?!“, — კითხვები დააყარა №0578-მა.

„დათუნია, მედეგეონოკ, ჩემი მეტსახელია. ცოლი ლოგინად არის ჩაყარდნილი, საოპერაციოა, ემველებო, მპირდებიან და ეგებ, ემველოს და ის უკრაინელი უარს თუ იტყვის, როგორმე ხმა მომანვინე, მაგრამ გამორიცხულია, მანსი არ არის, უარი თქვას“, — გაელიმა სოსოს.

„და მე რომ შენი ისტორია მაინტერესებს და სულ რომ გეხვებები და ერთხელ არ მომიყვი, როგორია?! არაფერი დაგიშვებდა, მოყვი, მარტივად, სწრაფად“, — კიდევ ერთხელ სთხოვა პატიმარმა.

სოსო ჩაფიქრდა, მერე გაიღიმა და ამაღამ ჩემს კამერაში დარჩებო, უთხრა, საჭინდან ისე გავიდა, მისთვის მოდულეზულ სამ ჭიქა ჩაის პირი არ დააკარა. იმ საღამოს პატიმარი №0578 მაცურებლების კამერაში დარჩა...

„17 წლის ვიყავი, აქედან უკრაინაში სასწავლებლად რომ წავიდი. ოდესაში ჩავაბარე, ლვინის ტექნოლოგი უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ აირია სიტუაცია, საქართველოში, ხომ გახსოვს, რაც ხდებოდა, რუსეთსა და უკრაინაში იმაზე ორჯერ მეტი ხდებოდა. იქ ადამიანის სიცოცხლე არაფრად ფასობდა და დღე არ გავიძოდა, სადმე ვინმე არ დაეწიოკებინათ, არ ჩახოკათ. ბანდები სოკოებივით მრავლდებოდნენ და ძირითადად პატარა, თავზე ხელაღებული ბიჭები. ვის ეცალა სწავლისთვის და ასე მოვხვდი მეც ჩემი ბანდაში. ის ჩემთვის ძირითადად ბინის ქურდობით იყვნენ დაკავებული, მე კი კარის გაღება მევალა. კარს მარტივად ვაღებდი, რადგან ჩხირკედელაობა ბავშვობიდანვე მიყვარდა და ყველა საბჭოთა საკეტის დაშლა-ანყობა ვიცოდი. მანდ მთავრდებოდა ჩემი საქმე — კარს გავაღებდი, ჩავდიოდი და მანქანაში ველოდი იმათ...“

ერთ დღეს, როცა კარი გავაღე და მანქანაში ჩავიდი, ზემოთ სროლა ატყდა. თურმე, ბინის პატრონები სახლში ყოფილან და ყველაფერი მსხვერპლით დასრულდა. ჩემებმა ოჯახი ამოწყვიტეს. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, საქართველოში დაბრუნდი

„ერაკლე კოდუა დაიკრეკა და... ერთი ბინიდან რალს დოკუმენტაციის გამოტანა მოხოვა...“



უკრაინაში მოღვაწე ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი „მედვერონი“ ნაციონალებთან ურთიერთობის დეტალებს იხსენებს

და სახლიდან აღარ გამოვდიოდი. ორ თვეში ვილაღ ტიპები დამადგნენ ჩემთან, სოფელში, სერიოზული ხალხი ვართ, წამოდი, კარი ჩვენთვის გააღე და იმის გამოსარიცხად, რაც ჩემებთან შეგემთხვა, გაღებამდე, კარზე დააკაკუნეო. ეს ამბავი ჭკუაში დამიჯდა და გავყვი. რუსი ებრაელები იყვნენ. ზეპირად იცოდნენ, მათი თანამემამულეები სად ცხოვრობდნენ და ვის რა შეძლება ჰქონდა. ერთ თვეში ფული სად წამელო, აღარ ვიცოდი. ცოტა ხნით საქართველოში დავბრუნდი, ბავშვობის შეყვარებული ცოლად მოვიყვანე და, ცოლთან ერთად, ისევ უკრაინაში წავედი. მას შემდეგ, თითქმის ოცი წელი, ერთხელ-ღააც არ ჩავფარდნილვართ. საკეტები გაუმჯობესდა და მეც იძულებული გავხდი, ცოდნა გამეღრმავებინა. საკეტებში ასი ათასი ევროც კი გადაგვიხდია, რათა სუსტი ნერტილი მენახა და მერე ამ 100-ათასიანი საკეტით დაკეტილი ბინები გამელო...

ერთ დღეს, ერეკლე კოდუამ დამირეკა — რომ მითხრა, კოდუა ვარო, ჯერ აზრზე ვერ მოვედი, ვინ იყო, მერე ხუმრობა მე-მონა და ბოლოს, როცა სკაიპით დამელაპარაკა, დავრწმუნდი. უკრაინაში ერთი ბინიდან რალაც დოკუმენტაციის გამოტანა მთხოვა. მოვიფიქრებ-მეთქი, ვუთხარი და ის დოკუმენტაცია საღამოს შინ მეღო. გადავთვალე, რალაც მარშრუტები და გზების სქემები იყო, მნიშვნელოვანი არაფერი და მეორე დღეს ვუთხარი, გამოვიტან, ოღონდ საქართველოში ერთი კვირით ჩამომიშვით-მეთქი. თანხმობა მითხრა და სამ დღეში, ცოლ-შვილთან ერთად, თბილისში ვიყავი, ერეკლეს დოკუმენტები მივეცი და ერთ კვირაში მთელი სანათესაო მოვიჩახულე. მამ შემდეგ ნაციონალების ხელისუფლებას კიდევ რამდენიმე სამსახური გავუწიე, ძირითადად დოკუმენტაციის მოპარვას ეხებოდა, ერთხელ — უკრაინაში და დანარჩენ შემთხვევაში — რუსეთში...

ბავშვობის მეგობარი მომიკვდა ავარიით და საქართველოში უნდა ჩამოვსულიყავი. კოდუას დავურეკე და მითხრა, არ არის პრობლემა, ბარემ, ჩემი მეგობარი ჩანთას გამოგატანს და ჩამომიტანე, ვიპ-გამოსასვლელით გამოხვალ, იქ დაგხვდებიო. დავთანხმდი და იმ მეგობარსაც ჩანთა წინა დღეს მოვატანინე. საღამოს უმტივიწელოდ გავხსენი ჩანთის კოდი და... შენთვის არ არის საინტერესო, იქ რა იდო, მაგრამ მე ერეკლეს დავურეკე და ვუთხარი, ამის ნამომღები არ ვარ-მეთქი. ჯერ გაუკვირდა, გახსენიო, მერე კი სიცილით მითხრა, კარგი, დი-კიდე, დაურეკე უკან ნაილოსო და მეორე დღეს კოდუას ჩანთის გარეშე გამოვფრინდი. თბილისის აეროპორტში დამაკავეს, ჩხრეკა ჩამიტარეს და სუბუტექსის აბები „მიპოვეს“. ოპერაციას პირადად კოდუა ხელმძღვანელობდა. ხმა არ ამოიღია, არც

მიმინიშნებია ვინმესთვის, რომ კოდუას ახლოს ვიცნობდი, მშვიდად გავყვი მოდულში და იქ მოვიდა ერეკლეც. მითხრა, რომ ხელისუფლებამ ჩემი დასჯა დაუმორჩილებლობის გამო გადამწყვიტა, მე არავინ მკითხავდა, რა იყო წასაღებ-წამოსა-ლები, უნდა გამეკეთებინა, რასაც მეუბნებოდნენ და ამიტომ, ციხეში მიშვებდნენ. თავიდან ყველაფერი ხუმრობა მეგონა, მერე კი, როცა მოსამართლემ 20 წელი გამომიცხადა, მივხვდი, რომ უბრალოდ, გამიმეტეს და ახლაც მგონია, კოდუამ გამიმეტა და არა ხელისუფლებამ. ჩემი დაჭერიდან ორ წელში, ცოლი ყინულზე დაეცა და ვედარ დგება, ოპერაცია უშველისო, ამბობენ, ვნახოთ, რა იქნება. ვლასტი იცვლება, მგონი და ეგებ, მეშველოს, — დაამთავრა მონოლოგი სოსომ.

პატიმარი №0578 თავისუფლებაზე გასვლიდან მეორე დღესვე დაუკავშირდა უკრაინელს და მესამე დღეს საბანკო ანგარიშზე ხუთი ათასი ევრო დაუჯდა. მაშინვე სოსოს სოფელში წავიდა და ფული ჩაიტანა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სოსომ თავად დაურეკა №0578-ს და უთხრა, ალბათ, ორ თვეში გამოვალ და ცოლისთვის ოპერაციის გაკეთება მინდა, ეგებ, ახალ ხელისუფლებასთან ის დამილაგო, ერთი თვე დამტოვონ საქართველოში, ცოლს რომ მივხედო, მერე რომ მეხვეწონ, აქ გამჩერებელი მაინც არ ვარო. ხელისუფლებამ ერთთვიან ვადაზე თანხმობა თქვა და არავინ იცის, როგორ, მაგრამ სოსომ ციხე დატოვა. ოპერაცია ზუსტად ერთი თვის თავზე დაინიშნა. სოსო გააფრთხილეს, ხვალაც თუ ქვეყანაში იქნები, დაგაპატიმრებთო და მანაც უკრაინის ბილეთი დაჯავშნა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, სოსო უთხრეს, რომ მისი მეუღლე გაივლიდა და ისიც აეროპორტში მშვიდად წავიდა. რამდენიმე მეგობარი და პატიმარი №0578 აცილებდა, როცა დაურეკეს და უთხრეს, რომ მეუღლეს სისხლდენა დაეწყო და რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს. სოსომ ბილეთი ნაგვის ურნაში ჩააგდო და საავადმყოფოში დაბრუნდა. სწორედ საავადმყოფოში დააკავეს და იარაღი „ამოუღეს“. სასამართლომ ერთნაირი სასჯელი მისცა, თუმცა სოსო ამას აღარ ნაღვლობდა — მეუღლე გადარჩა, ოპერაცია წარმატებული გამოდგა და ექვსი თვის შემდეგ, აეროპორტში უკვე ცოლ-შვილთან ერთად იყო.

„ახლა აღარ მიბრუნდ უკან, თორემ გადავირევი“, — გაელიმა №0578-მა.

„არა, ახლა კი არა, საქართველოში მკვდარს თუ ჩამომასვენებენ, თორემ აქეთ დამბრუნებელი აღარ ვარ“, — ღიმილით თქვა სოსომ და ოჯახთან ერთად დღემდე უკრაინაში ცხოვრობს.

2015 წლის 4 მარტს, 12:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №73, გაიმართება შპს N Electric cables-ის რეზინო-ტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარის გზო-ის ანგარიშის საჯარო განხილვა. საზოგადოების წარმომადგენლებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე: — შპს N Electric cables-ის ოფისი ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბ.ხმელნიცკის ქ. №48, კორპ. 6, ბინა 26. — შპს „ქიმიანი-ეკო“-ს ოფისი, ქ. თბილისი, პოლიტოვსკაიას ქ. №5; — საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საიტი <http://moe.gov.ge>; დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ შპს N Electric cables-ს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში. საკონტაქტო პირები: — დავით ნადირაშვილი ტელ: 599-026-075; ელ ფოსტა: Davit_pxoveli@yahoo.com — ომარ ლომთაძე ტელ: 577-450-585; ელ. ფოსტა: o.lomtadze@gmail.com

მე-8 გვერდიდან

არ გამართლებ ამას), ყველა მათგანზე რომ განათლების სა-

ნაცოდვილარი მეექვსე:

„მშობლები საქმის კურსში არაფერს ჩაუყენებია და ბავშვის

რა სიცრუეა! და მართალიც რომ იყოს, რა ფარისევლობა!

სტატიაში ორიოდ წინადადება კიდევ ეძღვნება ფაქტების

რა დიდი სურვილი ჩანს აუდიტორის გამართლებისა და კარგ

მაგრამ, რომც მოენდომებინა, როგორ უნდა გაეშვა ფერადე

ახლა კი „ბოლო თავყრილობა“ -საც შეეხები. საპროტესტო

კონკრეტულად გაზეთ „ვერსიასთან“ დაკავშირებითაც რეჩ-

სხვა მხრივ კი, ღმერთმა კარგად გამყოფოთ და ჩემი მკაცრი

პატივისცემით: დავით ფერაძე

სახანდო ნაძვისხე მოდური ჩანთებით

Fendi-მ შარშანდელი წარმატებული კოლაბორაციის შემდეგ,



სულიერი საზრდოს ტალღებს პრიბაზან



ესპანეთის ავტონომიური ოლქის — ესტრემადურას ხელისუფლებამ

გახდომისთვის უნიკალურ სასმელს ამზადებენ

შვეიცარიელი მეცნიერები ახალ სასმელზე მუშაობენ, რომელიც ზედმეტ წონას ფიზიკურ



წინა ნოქარში გასული სკანდინავიისა და სულოქუს პასუხები

Table with 4 columns of numbers and headers: ა ე ჯ ი ლ ი, ს ც ა ნ დ ა რ ც ი, რ თ უ ლ ი, ა ე ს კ ა რ ც ი

- მე-10 გვერდი: 1. ინდაური; 2. „ნაუტილუსი“; 3. არბალეტი; 4. რული; 5. სოკრატე; 6. ორცხოხილა; 7. რეტორტა; 8. ტონა; 9. ბულბული; 10. სან; 11. ირემი; 12. ალისა; 13. აცეტონი; 14. ნასა; 15. „აიქსი“; 16. მაია; 17. ისლი; 18. „ლორეალი“; 19. აბატისა; 20. არნო; 21. სკვინჩა; 22. უნტები; 23. ისააკი; 24. საკურა; 25. „ბასტია“; 26. სემი; 27. იბნ; 28. დრიადი; 29. კარაველა; 30. ქვა; 31. ბის; 32. დიაცი; 33. კალანდა; 34. რუა; 35. ვატმანი; 36. ასი; 37. ონისე; 38. კასტელანი; 39. ეული; 40. ბრილიანტი; 41. ესე; 42. ოე; 43. მალტა; 44. უდე; 45. გაუდი; 46. რეი; 47. უპე; 48. დიდელა; 49. ანოა; 50. პაი; 51. პლატეზი; 52. მასტი; 53. იან; 54. კლოდ; 55. „გზა“; 56. ევა; 57. ავი; 58. იდეა; 59. ამატი; 60. პლისე; 61. ოდესა.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

8				3		9	6
9		1	8				
	2		4		1		7
2	4		9				
			7				
				2		5	4
4		9		3		6	
				5	4		1
1	2		6				3

			3			4	
		6	5				8
3	2		9				5
		5				7	
6			1				2
	4					8	
1				7		8	3
8				3	4		
	5		4				

1			5				3	
						1		
			6			9	5	8
						4	7	
8		7	3	5	4	1		9
4	1		7	8				
7	4	3			6			
	9							
5					7			4

	5				3		9	6
							8	7
6			2					3
		4	3		7			5
		3	5		1	7		
7			9		6	4		
5					2			8
	3	1						
9	7		1					6



ყველაზე ძვირადღირებული ქუჩები

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ცობილი გამოცემის, „ფაინენშლ ნიუის“ ექსპერტებმა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგი შეადგინეს, მასზე არსებული საცხოვრებელი ფართის ღირებულების მიხედვით. ყველაზე სასურველი და ძვირფასი ქუჩების სიაში პირველი ადგილი ჰონკონგში მდებარე სევერნ როუდს ხვდა წილად. ამ ქუჩაზე ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი ღირებულება 57 ათას ევროს შეადგენდა, 2012 წლიდან კი ფასმა 9%-ით მოიმატა. მეორე ადგილზე ლონდონის კენსინგტონ პალას გარდენი აღმოჩნდა. აქ ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 55 ათას ევროს შეადგენს. საპატიო მესამე პოზიციაზე გავიდა მონაკოს პრინცესა გრეისის ავენიუ, სადაც ფართის ღირებულება, საშუალოდ, 50 ატასი ევროა. „მონინავეთა რიგებშია“ შემოიღეს ჰოფისის ქუჩა საფრანგეთში. ამ ქუჩაზე მხოლოდ 15 სახია, კვადრატული მეტრის ღირებულება კი — 45 ატასი ევრო. ამავე ფასად შეიძენთ საცხოვრებელ ფართს ნიუ-იორკის სახელგანთქმულ მეხუტე ავენიუზეც. რაც შეეხება პარიზის ანატოლის სანაპიროს, აქ ერთი კვადრატული მეტრი 32 ატასი ევრო ღირს. სასურველი და ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგში მოხვდნენ, ასევე, ჟენევის რუ ბელოტი და იტალიის პატარა საკურორტო ქალაქ პორტო ჩერვოს ვია როზაჩინო.

„ყვლინაიყლ დისნილუნდს“ ააქნეჭენ

აპენინებზე, ქალაქ ბოლონიაში, გასართობი პარკი Fico Eataly World გაშენდება, რომელიც 80 ათას კვადრატულ მეტრზე განტავსდება და კულინარიული დისნეილუნდის სახით იქნება წარმოდგენილი. მისი დამფუძნებლები იმედოვნებენ, რომ წელიწადში 10 მილიონზე მეტ მნახველს მიიზიდავენ. გენერალური დირექტორის, ოსკარ ფარინეტის სურვილია, ახალი პარკი ტურისტებისა და გურმანებისთვის ახალი იტალიური მექა გახდეს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკასაც წაადგება. პროექტის მიხედვით, ამ უზარმაზარ ცენტრში განთავსდება რესტორნები, სასურსათო მაღაზიები, საკვები პროდუქტის ლაბორატორიები და უზარმაზარი აკვარიუმიც კი. Fico Eataly World-ის მშენებლობა დაახლოებით 60 მილიონი დოლარი დაჯდება.



მოხუცი ქალი ციხეში ჩასვეს

გერმანიაში 71 წლის ქალი გისოსებ-სმილმა აღმოჩნდა იმის გამო, რომ დაახლოებით 13 წლის განმავლობაში კათოლიკე მღვდელს დასდევდა, სასიყვარულო წერილებს უგზავნიდა, მისი ტელეფონის ნომერიც გაიგო და გამუდმებით ურეკავდა, სიყვარულში რომ გამოტყდომოდა... პენსიონერი იმდენად იყო შეპყრობილი ამ გრძნობით, რომ რამდენჯერმე გაშიშვლდა კიდეც სიყვარულის ობიექტის წინაშე და უცეკვა. სასამართლოში ქალმა აღიარა, რომ ამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ის ამ ყველაფერს აკეთებდა. პრაქტიკულად ყოველდღე მიდიოდა მღვდლის სახლთან და შესასვლელთან ყვავილებს, სასიყვარულო ბარებებსა და პრეზენტაციებს ტოვებდა. კითხვაზე, როგორ გაიცნო ეკლესიის წარმადგენელი, მოხუცმა გერმანელმა უპასუხა, რომ ეს სრულიად შემთხვევით მოხდა — თითქოს მეჩხე დამეცა, როცა დავეინახე, მაშინ არ ვიცოდი, რომ მღვდელი იყო. ბრალდებულის აღიარების, მონაშენების ჩვენებისა და ექსპერტების დასკვნის შესწავლის შემდეგ მოსამართლემ გადაწყვიტა, გრძნობებმომჭარბებული მოხუცი საკანში 14 თვით გაემწყვდინა.



ინგლისელი სუპერსმენისგან განკურნეს



დიდი ბრიტანეთის საგრაფო კამბრიაში მცხოვრებ ქალბატონს, ორი შვილის დედას ჯასტინ მიტჩელს საკუთარი თავის გუგების მოძრაობის ხმაც კი ესმოდა, რაც აუტანელ ტანჯვას აყენებდა. 42 წლის ბრიტანელს სმენის პრობლემები მოულოდნელად დაეწყო — იმის ნაცვლად, რომ სმენა ასაკის მატებასთან ერთად გაუარესებოდა, პირიქით, სულ უფრო უმახვილდებოდა. გვერდზე თუ გავიხედავდი, გუგების მოძრაობის ხმაც კი მესმოდა, ის მინაზე გაღრმავებული ქალაქის ხმაზე უარესი მოსასმენია, — ამბობს მიტჩელი. პრობლემები 2009 წლის იანვარში დაიწყო, როცა ჯასტინმა აღმოაჩინა, რომ პულისის ყოველი დარტყმა სტვენასავით ჩაესმოდა მარჯვენა ყურში. მალე კი საკვების მიღების ყველა მცდელობა მისთვის ტანჯვად იქცა — ლეჭვის ხმები ლამის ტვინს უზურღავდა. მერე ტაბერუსხვევები და ლებინების შეგრძნებებიც დაეწყო. ექიმებთან სიარულმა და შედეგი არ გამოიღო. მაშინ მიტჩელი კომპიუტერს მიუჯდა და ერთხელაც აღმოაჩინა სამედიცინო საიტი, სადაც პრაქტიკულად მისი ყველა სიმპტომი იყო ჩამოთვლილი. ამ ცნობებით „შეიარაღებულმა“, როცა უკვე დაავადების დიაგნოზიც იცოდა, კვლავ ექიმებს მიაკითხა. მედიკოსებმაც დაუდასტურეს ეს დიაგნოზი და შესაბამისი მკურნალობაც ჩაუტარეს. სამსაათიანი ოპერაციის შედეგად ჯასტინს ნორმალური სმენა დაუბრუნდა.

მუსიკას ყურასასმენი შეგირჩევთ

განწყობის მიხედვით სასურველი მუსიკის შერჩევა ხშირად არც იე ადვილია. ამ „პრობლემის“ მოგვარებაზე იზრუნეს იაპონელმა გამომგონებელმა კომპანიიდან Neurear — მათი მორიგი ქმნილება ტვინის დეველპისა Mico Headphones, რომელიც ტვინის ნახევარსფეროების რიტმის გადამცემს იყენებს და ადამიანის განწყობას ადგენს, შემდგომ კი შესაბამის მელოდიასაც ურჩევს. ყურასასმენებში ჩამონტაჟებულია ენცეფალოგრაფი და სხვა, ანალიზის მწარმოებელი მონაცემები, რომელიც ადამიანის იმნუთიერ მუსიკალურ სურვილს ამოიცნობს. სმარტფონთან დაკავშირებული ყურსასმენი კომპანიის მონაცემთა ბაზიდან ირჩევს მუსიკას მომხმარებლის ფსიქოემოციური მდგომარეობის მიხედვით. მონაცემების გვერდითა პანელები კი, განათებისა და სიმბოლოების მიხედვით, იმის დემონსტრირებას ახდენს, მოსწონს ადამიანს შერჩეული მუსიკა თუ მის მიმართ გულგრილია.



